



მათემატიკა - VI კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____

სკოლა, კლასი _____


თანაგუნდელის გვარი, სახელი _____

მასწავლებლის გვარი, სახელი _____

ამოცანები

1) ცნობილია, რომ x და y ნატურალური რიცხვებია, ან ნატურალური რიცხვის ნახევრები. ამასთანავე, $y + 3x = 55$ და $x; 13; 12; 9; y; 6$ რიცხვები კლების მიხედვითაა დალაგებული. დაასახელეთ x -ის უდიდესი და უმცირესი შესაძლო მნიშვნელობები.


2) სარბენ ბილიკს ABC სამკუთხედის ფორმა აქვს, $AB = 26$ მ, $BC = 39$ მ. $AC = 51$ მ. მარიამი და ქეთი C წერტილიდან ერთდროულად იწყებენ ბილიკზე სირბილს სურათზე მითითებული მიმართულებით. მარიამი ყოველ წამში გადის 3,4 მ-ს, ქეთი - 4,2 მ-ს. სამკუთხედის რომელ გვერდზე დაეწევა ქეთი მარიამს? ეს წერტილი ამავე გვერდის უახლოესი წვეროდან მიახლოებით რამდენი მეტრითაა დაშორებული?




3) ლაშა თავისი ბიბლიოთეკის წიგნებს ყუთებში ოთხ-ოთხად აწყობდა და 3 წიგნი დარჩა ჩასაწყობი. რამდენი წიგნი შეიძლება დარჩენოდა მას, თუ გადაწყვეტდა წიგნების თორმეტ-თორმეტად ჩაწყობას?

4) დასახელებულია ციფრები: 4; 9; 7; 1; 3. მათგან უნდა შედგეს სამნიშნა რიცხვები ისე, რომ თითოეულ რიცხვში ციფრები არ გამეორდეს და ციფრები კლების მიხედვით იყოს განლაგებული. რამდენი ასეთი რიცხვი შედგება? მათგან რამდენი დამრგვალდება მეტობით ასეულებამდე დამრგვალებისას?

5) რამდენი სამკუთხედი შეიძლება შედგეს, რომელთა წვეროები აქ მითითებული 6 წერტილიდან შეირჩევა? გაითვალისწინეთ, რომ A, B და C წერტილები ერთ წრფეზეა. C, D და F წერტილებიც ერთ წრფეზეა. დაასახელეთ ეს სამკუთხედები.



6) ბულბული, თუთიყუში და იადონი უნდა განათავსონ სამ სვეტად განლაგებულ ბუდეებში (იხილეთ სურათი). ნებისმიერი ორი ფრინველი არ უნდა იყოს ერთ რომელიმე სვეტში და არც მიწიდან თანაბრად დაშორებულ ბუდეებში. ფრინველთა ასეთნაირად განთავსება რამდენნაირადაა შესაძლებელი?



გისურვებთ წარმატებას !